MES 0 21 0000497787

28/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.05.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ ჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სანდრო ტაბატაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
1	სოსო გოგილიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
2	ჯონი მწარიაშვილი		ავტორიზაციის განყოფილების უფროსი	I
3	არჩილ ჯანგირაშვილი		აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I
4	მარიამ სილაგავა			I

		შპს- საქართველოს უნივერსიტეტი	ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი	
5	ნათია კალაძე		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	I
6	ლელი ბიბილაშვილი		სოციალურ სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	I
7	ნანა ბურდული		პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	მარი ბანძელაძე		ასოცირებული პროფესორი	I
9	ვახტანგ ბალავაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სამსახურის უფროსი	
10	გიორგი ვეშაპიძე		პროფესორი	II
10	ავთანდილ თავთხელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	ნანა დიხამინჯია		ვიცე-რექტორი	II
12	დიმიტრი ჯაფარიძე		ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	II
13	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II
14	ნუგზარ სხირტლაძე,	**შპს - კავკასიის უნივერსიტეტი**	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;	
15	შოთა ნიჟარაძე		ტექნოლოგიების სკოლის დეკანი;	
16	მაქსიმ იავიჩი		პროგრამის ხელმძღვანელი	
17	ემზარ ბარბაქაძე	**შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი**	რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	IV
18	დავით ტეფნაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
19	დემურ ვეფხვაძე			IV

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაია მესტვირიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თინათინ გვაძაბია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვალერიან გობრონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ქეთევან დავითიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	დავით ჯიშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	გვანცა წულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	მანანა ჩახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემები ავიაციაში" ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემები ავიაციაში" ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია (Phychology)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N36 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია (Phychology)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბაკალავრი ფსიქოლოგიაში Bachelor of Physoclogy
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, კოსტავას N77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი
- ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.
- დიანა მჭედლიშვილი, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძემ .

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები ძირითადად, მე-2 და მე-4 სტანდარტებს შეეხება, რაც, აქილევსის ქუსლია აკრედიტაციის დროს. მან აღნიშნა, რომ პრობლემები ძირითადად მაინც პროგრამის სტრუქტურასა და შინაარს ეხება. ასევე, მისი თქმით, ვინაიდან პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობა არაა მათემატიკა, მონაცემთა დამუშავების საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ეკატერინე ფირცხალავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა შეფასებით, მონაცემთა დამუშავება 2 უფრო მეტად სამაგისტრო დონეა, ვიდრე საბაკალავრო და სწორედ ეს იყო მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ასევე, მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საბაკალავრო პროგრამაზე დავალებები და ნაშრომები APA-ს სტანდარტით იწერება, მართალია არის საერთო წესი, თუმცა, მან აღნიშნა, რომ აუცილებელია, უშუალოდ ფსიქოლოგიისთვის მაინც უნდა იყოს დაკონკრეტებული საბაკალავრო ნაშრომის მომზადების წესი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა თემატური ჯგუფების საკითხი და ეს დადებითად შეფასდა. ასევე, მისი თქმით, ექსპერტების ძირითად შენიშვნას, სამეცნიერო პუბლიკაციების შედარებით მცირე რაოდენობა წარმოადგენდა, მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ კუთხით მუშაობის გაძლიერება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღანელმა, ნანა ბურდულმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ეს პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. მან აღნიშნა, რომ 2011 წლიდან მუშაობს პროგრამა და 2014 წლიდან უკვე აკრედიტირებულ რეჟიმში. მისი თქმით, პროგრამის მდგრადობის საფუძველია ის

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ამდენი ხანი მოჰყვება პროგრამას. მისივე შეფასებით, ერთადერთი რაზეც ექსპერტებმა მიუთითეს, რომ შეიძლება არ შეესაბამებოდეს საბაკალავრო საკითხს, იყო მონაცემთა დამუშავების საკითხი და სიტყვა გადასცა ელენე ჩომახიძეს, „მონაცემთა დამუშავება 2“-ის ლექტორს იმისათვის, რათა აეხსნა, რამდენად დაძლევადი და შესაბამისია მოცემული სასწავლო კურსი საბაკალავრო საფეხურთან მიმართებით.
მოწვეულმა პერსონალმა, ელენე ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტებს, რომ კარგი იქნებოდა მათემატიკა რომ იყოს ჩაბარებადი და არასრულყოფილი მათემატიკური აპარატი ძალიან დიდი პრობლემაა. მისი თქმით, ეს პრობლემა თანამედროვეობაში მოხსნილია, რადგან ოპერაციულ პასუხზე, კომპიუტერი პასუხობს და ამდენად, სტუდენტებს მხოლოდ აზრობრივად სჭირდებათ გაგება. ამდენად, მისივე შეფასებით, თუნდაც კლასტერული ანალიზი საკმაოდ მარტივია. მანვე აღნიშნა, რომ მხოლოდ სამაგისტრო საფეხურზე მრავალგანზომილებიანი ანალიზის საფუძვლის გარეშე დაწყება საკმაოდ რთულია, მას ასეთი გამოცდილება ჰქონდა და ამიტომ გადაწყვიტა ზუსტად იმ ფორმით ყოფილიყო „მონაცემთა ანალიზი 2“-ის საგნის შინაარსი, როგორითაც სილაბუსშია წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ მათი ლექტორის მოსაზრებას. ასევე, მისი თქმით, არ ეთანხმებიან ექსპერტების წინარე შეფასებას, რომლის მიხედვითაც არ არის დაკონკრეტებული, თუ როგორ უნდა მოხდეს უშუალოდ ამ პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის დაცვა. მათი თქმით, უტოპიურია სათითაოდ ყველა პროგრამისთვის საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესის სავალდებულოდ მოთხოვნა, რადგან არსებობს როგორც საუნივერსიტეტო, ისე ცალკეული სკოლისთვის განკუთვნილი წესი, რომელიც ამ საკითხს მკაფიოდ არეგულირებს. მისი თქმით, წინა აკრედიტაციების პერიოდშიც, არასდროს ყოფილა სავალდებულო მოთხოვნა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსთან დაკავშირებით და ამიტომაც, არაა წარმოდგენილი მოცემულ პროგრამაში. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსი თავისი არსით წინასწარგანსზრახვას მოითხოვს, რაც, საბაკალავრო ნაშრომის იდეასთან არ არის თანხვედრაში.
სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ დააზუსტა იყო თუ არა ეს საუნივერსიტეტო დებულება, რადგან ექსპერტებს ნათქვამი აქვთ, რომ დებულება ან სილაბუსი არ არსებობს უშუალოდ კონკრეტულად ამ პროგრამისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობდა როგორც ზოგადი საუნივერსიტეტო პროცედურული დოკუმენტი, ისე ცალკეული სკოლების შემთხვევაში არსებული წესი საბაკალავრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ფირხცალავამ აღნიშნა, რომ აუცილებელია საბაკალავრო ნაშრომის მკაფიო რეგულირება კონკრეტული პროგრამისთვისაც, რადგან ის დაყრდნობილია კრედიტების სისტემაზე და ამდენად, მისი შეფასებით, ნიშვნელოვანია ჰქონდეს კრედიტი და სწავლის შედეგები.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს გააჩნია ზოგადი დებულება და ის რაც ექსპერტმა ახსენა, სკოლას აქვს სპეციალიზირებული დოკუმენტი და მისი თქმით, საბაკალავრო ნაშრომის დებულება და დანართი თავიდანვე არის მითითებული და მიწოდებული ექსპერტებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა, საბაკალავრო ნაშრომის შემუშავება და რეგულირება მხოლოდ საუნივერსიტეტო დონეზე ხდება თუ პროგრამის დონეზეც.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა, რამდენად გაეცნენ საბაკალავრო ნაშრომებს და თუ იყო ეს მეთოდები გამოყენებული პრაქტიკულად ამ ნაშრომებში. ის ასევე დაინტერესდა,

დასვნაში ეწერა, რომ არსებობს რეგულაცია, თუმცა, ასევე ექსპერტთა ჯგუფმა აქცენტი APA-ს სტილზე და როგორია ნაშრომები ამ მხრივ? ასევე მან იკითხა, რამდენად, სჭირდებათ სტატისტიკური ანალიზის ცოდნა რომ დაძლიონ სწავლის შედეგები?
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ იკითხა, რომ უმრავლესობას, რომლებიც ეწევიან პედაგოგიკურ საქმიანობას მხოლოდ სამეცნიერო კომპონენტში არის გამოუქვეყნებელი ნაშრომები და ნაკლები კომპეტენცია თუ მათ აკლიათ პრაქტიკული გამოცდილება?
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ იკითხა, თუ შეიძლება ანალოგი დაესახელებინა პროგრამას, სადაც, მხოლოდ ინსტრუმენტი ისწავლება და არა შინაარსი.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ შეკითხვა დასვა, რამდენად არის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება დაცული და ის ასევე დაინტერესდა, როგორ ხდება საგნების არჩევა ყოველ წელს, რადგან იქვე მოჰყვება არჩევითი ბლოკი სავალდებულო სასწავლო კურსებს; ასევე, ის დაინტერესდა რამდენად აქვს პროგრამას სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები, რა პერიოდულობით ხდება ეს, ყოველწლიურად თუ ყოველსემესტრულად, თუმცა, მისი თქმით, მიზნების შეფასება არ ჩანს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ზოგადი დოკუმენტი, როგორ უნდა მოხდეს რეგისტრაცია და როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხების რეგულირება, ხოლო, მისი თქმით, მეთოდოლოგია და სხვა ტიპის საკითხები, არსებობს საბაკალავრო ნაშრომის შეფასება სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში, ასეთი ტიპის დოკუმენტი. რაც შეეხება, სწავლების ორგანიზების თავისებურებებს, მისი თქმით, განსაზღვრულია როგორ უნდა განაწილდეს მთელი 4 წლის განმავლობაში სტუდენტის მხრიდან დატვირთვები. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს სემესტრული ფაქტორები გულისხმობს,რომ კონკრეტულ სემეტრში შეიძლება მოხდეს შეთავაზება,რომელიც სტუდენტმა შესაძლოა 1 წელიწადშიც ამოწუროს თუმცა შეიძლება სხვა სემესტრებშიც გადავიდეს.მანვე აღნიშნა, რომ არჩევით და ძირითად სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, ეს საკითხი ძირითადთან არაფერ კავშირში, რადგან, მისი თქმით, სტუდენტს შეუძლია იმ 72 კრედიტის შესაბამისად ჯამში, აიღოს არჩევითი კომპონენტები და ისწავლოს. მისი განმარტებით, კონკრეტულად წარმოდგენილია ის თუ პროგრამიდან გამომდინარე, რა არის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნული. დაწესებულების თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები,ამ თვალსაზრისით არსებობს ფაკულტეტის დონეზე პერიოდული შეფასება ანუ ყოველ სემესტრში ერთხელ პირდაპირი შეფასების ფორმიდან გამომდინარე და არსებობს კითხვარები, მათ შორის სტუდენტის გამოკითხვის,ლექტორის და ა.შ. მისი თქმით, ამ კითხვარებიდან გამომდინარე იკვრება ჯგუფი,რომელიც არის უშუალოდ პროგრამაზე ორიენტირებული, აანალიზებს და იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას, ამდენად, ეს არარის მხოლოდ პირადპირი ფორმიდან მიღებული ანალიზი ამას ემატება არაპირდაპირი,ანუ უნივერსიტეტის პროგრამიდან გასული სტუდენტები. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საერთაშორისო პროექტები და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობისთვის საჭირო უნარების მხარდაჭერის სქემები, მათ შორის ისიც, რომ მათი შედეგები სამეცნიერო სტატიების თვალსაზრისიტ, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში უნდა გამოქვეყნდეს.მანვე აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების განაწილება წარმოდგენილია სილაბუსებში და არა პროგრამაში და თითოეულ კურსს აქვს თავისი საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათი. მისი შეფასებით, პროგრამას კარგად აქვს ორგანიზებული კურიკულუმი და სტრუქტურა, ვინაიდან, სწავლის ორგანიზების თავისებურებებში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა განაწილდეს დატვირთვები სემესტრულად.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, აღნიშნა რომ ისინი განიხილავდნენ აკადემიური პერსონალის აკადემიური ბიოგრაფიის პარალელურად, იმ სასწავლო კურსებიდან გამომდინარე, რომლებიც ისინი უძღვებიან. მისი თქმით, იურიდიულად განსხვავდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის განაწილება და ექსპერტთა ჯგუფმა ცალ-ცალკე განიხილა ერთი მხრივ, ფუნდამენტური თეორიული მიმართულების მქონე ლექტორები და

მეორე მხრივ, პრაქტიკული სასწავლო კურსის ლექტორები. ამდენად, მისი თქმით, ისინი, ვისაც აქვს შედარებით მეტი სამცნიერო პუბლიკაცია, უმეტესად სხვა უნივერსიტეტებში არიან აფილირებულნი და ეს არაა მოცემული დაწესებულების დასახელება. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომებს, მისი თქმით, მათ ნახეს სამი ნაშრომი, წარმოდგენილ ნაშრომებში არ ჩანდა მაღალი დონის სტატისტიკური ანალიზის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მაია მესტვირიშვილმა აღნიშნა, რომ მონაცემები მარტო დამუშავება არაა და ნებისმიერ მონაცემს სჭირდება დამუშავება, მაგრამ არა ანალიზისა და წაკითხვის უნარებს და მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს უნარი და შემდგომში ეს შედეგები დააკავშიროს პრაქტიკას. მისი თქმით, აუცილებელია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი გაიმიჯნოს და შეიძლება ითქვას, რომ მოწვეული პერსონალს უფრო წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები, ვიდრე აკადემიურ პერსონალს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დასვა კითხვა, დაძლევდნენ თუ არა სტუდენტები მოცემულ სასწავლო კურსს

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კატერინე ფირცხალავამ აღნიშნა, რომ იმ წინაპირობით, რაც, მათ მითითებული გვაქვს დასკვნაში, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტები მხოლოდ იმ თემებს დაძლევენ;

სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორმა, ელენე ჩომახიძემ აღნიშნა, რომ მათემატიკა არ არის საჭირო მოცემული სასწავლო კურსის დასაძლევად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, იკითხა, რამდენად ეხებოდა საკითხების გადანაცვლება მხოლოდ ერთ სილაბუსს თუ ისე მსგავსი რეკომენდაცია დარგობრივ სილაბუსებშიც.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა, რატომ არის არჩევითი ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების საფუძვლები და თუ არის, რატომ არაა ეს მონაცემთა ანალიზის წინაპირობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა ბურდულმა აღნიშნა, რომ ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების სასწავლო კურსი არჩევითი საგანია და მისი თქმით, იმდენჯერ იქნა ახსნილი, რომ ამ ეტაპზე მონაცემთა დამუშავება არ საჭიროებს არც მონაცემთა 1-ისა და მონაცემთა 2-ის სასწავლო კურსებში და სტუდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მსგავსი პრობლემა არ წარმოიქმნება. მისი თქმით, მოცემული პრობლემა არ დგას.

საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა სტატისტიკის ელემენტების შესახებ და აღნიშნა, თუ რატომ არის სკეპტიკური დამოკიდებულება მათემატიკის მიმართ.

სასწავლო კურსის ავტორმა, ელენე ჩომახიძემ აღნიშნა, რომ ინტეგრალური აღრიცხვა მე-2 კურსზე ისწავლა და მან აღნიშნა, რომ ანალიზის უნარი უნდა განვითარდეს ჯერ კიდევ ბაკალავრიატის დონეზე და ამდენად, მიუღებელია, მოცემული სასწავლო მასალების მხოლოდ სამაგისტრო დონეზე სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მათთვის უფრო მარტივია გარკვეული საკითხების ამოღება, თუმცა, მისი ხედვით, სრულიად გაუგებარი და დაუსაბუთებელია ექსპერტთა მსგავსი რეკომენდაცია. მან ასევე მოიყვანა მათემატიკაში საშუალოსა და საშუალო კვადრატული გადახრის მაგალითები და აღნიშნა, რომ მოცემული სასწავლო კურსი დაძლევადია მათთვის, ვინც იდეალურად არ ფლობს მათემატიკას. მანვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სტუდენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ისტორია სთავაზობს კურსს, რათა მათ განივითარონ მათემატიკური უნარები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:12
დასრულების დრო: 16:52

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -14
წინააღმდეგი - 2

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:

- გაიწეროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სამიზნე ნიშნულებით და მისი პერიოდული შეფასების პროცედურა (ყველა სავალდებულო სასწავლო კურსისთვის, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომისთვის
- რეკომენდირებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიქმნას საბაკალავრო ნაშრომის მომზადების დეტალური წესის ამსახველი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ნაშრომის სტრუქტურა და სხვა ტექნიკური მოთხოვნები
- რეკომენდირებულია, გადაიხედოს „თემატური ჯგუფების” დალაგების მოდელი (კერძოდ, ორგანიზაციული ფსიქოლგიიაში შემავალი თემების რევიზია;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს ფაიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქოდე აკადემიური პერსონალის რაოდენობა; აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციები
- რეკომენდირებულია, აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის უფრო მაღალი მაჩვენებელი.
- რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა, რათა აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა პერიოდულად დაადასტუროს სამეცნიერო კომპეტენცია.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერიოდულად შეაფასოს და დოკუმენტურად ასახოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული;
- რეკომენდირებულია, პროგრამის პერიოდული მონიტორინგის მექანიზმების ამუშავება.

რჩევები:

ა) სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების არჩევით საგანთა ჩამონათვალში ისტორიის გარდა ერთად, წარმოდგენილი იყოს მათემატიკა, ვინაიდან პროგრამაში გაძლიერებულია სწავლება კვლევის მეთოდების და მონაცემთა დამუშავების თვალსაზრისით;
ბ) სასურველია, „მონაცემთა დამუშავება 2“-ის შინაარსი შეესაბამებოდეს სწავლების საბაკალავრო საფეხურს;
გ) სასურველია, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და პროგრამის განვითარებისთვის მათემატიკური სწავლების გაძლიერება.
დ) სასურველია, გარკვეული არჩევითი კურსების (ფსიქოთერაპიის საფუძვლები; პრაქტიკა კლინიკურ ფსიქოლოგიაში) სწავლის შედეგები მეტად შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და საბაკალავრო საფეხურის აღმწერებს;
ე) სასურველია ყველა საგნის სილაბსუში მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
ვ) სასურველია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებისთვის მათი კვლევით პროექტებში ჩართვა;
ზ) სასურველია, ინფორმაცია საკონსულტაციო საათების შესახებ სილაბუსებშიც იყოს აღნიშნული, რაც სტუდენტებისათვის დასახელებულ საკითხზე ინფორმაციის მიწოდების კიდევ ერთი ეფექტური სტრატეგია იქნება;

თ) სასურველია, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ჩართულმა პირებმა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სტუდენტების საერთაშორისო პროექტებით, მობილობით სარგებლობა წაახალისონ და მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიის" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის New Materials for Nano Electronics and Nano Engineering
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 თებერვლის N372 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის მაგისტრი Master of Material Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული

12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი
- ელენე ჟურავლოვა, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

16:50 სხდომაზე დაბრუნდა მაკა კაჭარავა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო მასალათმცოდნეობის მაგისტრი პროგრამა აკრედიტირებული იყო 2011 წელს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე კი გახლდათ - ვალერიან გობრონიძე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერიან გობრონიძემ აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის ფარგლებში აკრედიტაციის ვიზიტი 2021 წლის 4 და 5 მარტს გაიმართა, სადაც, განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. მისი თქმით, მე-2 და მე-4 სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო, დანარჩენი სტანდარტები, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მან ჩამოთვალა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- გასწორდეს პროგრამის კომპეტენციების რუკაზე, სასწავლო კურსის - „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი;
- სილაბუსებში „ფოტონიკა“ , „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“, „არაწრფივი დინამიკა და ქაოსი“, „დაბალგანზომილებიანი სისტემების ფიზიკა“, „ნანოსტრუქტურების ტექნოლოგია I, II, III“, „ელექტრონული ინჟინერია: ანალოგური და ციფრული სქემები“, „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
- სილაბუსში „მყარი ტანის ფიზიკა I, II”, „კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I“, საშინაო დავალებათა რუბრიკები გაიწეროს მკაფიოდ;
- სამაგისტრო ნაშრომებში დაცული იქნას ციტირებული ლიტერატურის დამოწმების სავალდებულო სტილი;
- სასწავლო კურსებში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ მითითებული ლიტერატურა: S.M. Sze and K. K. Ng, Physics of Semiconductor Devices, third edition (Wiley, New York, 2007) განთავსდეს ბიბლიოთეკაში ან სილაბუსში მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა;
- გასწორდეს პროგრამის ბიუჯეტში არსებული ხარვეზები

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ ექსპერტებს მადლობა გადაუხადა და მიმოიხილა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები. მისი თქმით, ტექნიკური ხარვეზი იყო რუკაში და არა სასწავლო კურსში და ეს უფრო ტექნიკური ხარვეზი აღმოიფხვრა. ასევე, მისი თქმით, მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამა და დოკუმენტები არ არის საწინააღმდეგო მინისტრის N3 ბრძანებასთან და ამდენად, მისი ხედვით, სილაბუსებში, სადაც აღნიშნულია სწავლების მეთოდების გარდა, სწავლების ტექნიკები და სტრატეგიები არ ეწინააღმდეგება მინისტრის N3 ბრძანებას. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი წესები და კონცენფცია სრულადაა წარმოდგენილი და რაც ექსპერტებმა ნახეს ეს წინა წლების ნაშრომებია, თუმცა, უკვე წარმოდგენილი დოკუმენტები მკაცრად რეგულირებულია და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი გათვალისწინებულია. მისი თქმით, ექსპერტები მართლები იყვნენ, როცა ბიბლიოთეკაში არ იყო ის საკითხი/წიგნი და უკვე გამოწერილია მასალები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ავთანდილ თავთხელიძემ აღნიშნა, რომ რუბრიკები უფრო მეტად კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი და ამ მხრივ, ისინი ექსპერტების მოსაზრებას იზიარებენ. დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ერთი შეხედვით, არის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა, ის ორწლიანი ბიუჯეტია და სხვაობა 3000 ლარია, თუმცა, მისი თქმით, მნიშვნელოვანია ფაქტორები, რომლებიც ბიუჯეტში არაა წარმოდგენილი, ვინაიდან იქ წარმოდგენილია მხოლოდ სასწავლო პროცესისგან მიღებული შემოსავალი. მისი თქმით, პროგრამა ხასიათდება მაღალი კოეციფიენტის მქონე საგრანტო რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით და ამდენად, ეს რესურსები პროგრამის ამოცანების რეალიზებაში დიდ როლს თამაშობს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაკადი მოკლე საბიუჯეტო მონაცემში არაა ასახული, თუმცა, ის საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსია, რაც საშუალოდ წელიწადში 150 000 ლარს შეადგენს, საიდანაც 1/3 ევროკავშირის პროექტებია, ხოლო დანარჩენი - რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები. ამდენად, მისი თქმით, სწორედ ეს საგრანტო პროექტები განაპირობებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაფინანსებას და მწყობრში ყოფნას და ამიტომ, პროგრამის მდგრადობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ იქნება დაყენებული/

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერიან გობრონიძემ აღნიშნა, რომ პროგრამას ფინანსური პრობლემების თემა მათი მხრიდან არ ყოფილა გაჟღერებული, მისი თქმით, ექსპერტებმა ისაუბრეს ხარვეზზე, რაც წარმოდგენილ ბიუჯეტში იყო ასახული, რეალურად კი, გაცილებით მეტი თანხა იხარჯება პროგრამაზე, ვიდრე ეს რეალურად ბიუჯეტით იყო წარმოდგენილი. მან ასევე აღნიშნა, რომ მინისტრის N3 ბრძანების თემა, უფრო ტერმინოლოგიური საკითხია, ვინაიდან სჯობს სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები ერთიანად დაერქვას ამას სილაბუსებში და არ იქნება პრობლემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობების თემა ვერ იქნება რეკომენდაცია, არ ირღვევა სტანდარტი, ამიტომ, ეს უნდა იყოს რჩევა.
საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაინტერესდა, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ფონდები ან პროექტები ვერ დაფინანსდება, ვინაიდან წარმოდგენილ ბიუჯეტში ამგვარი პუნქტი არ ჩანს;
დაწესებულების წარმომადგენელმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო და საგრანტო საკითხები გამიჯნული უნდა იყოს და არის კიდეც. მისი თქმით, ბოლო 8-9 წლის ფუნქციონირებამ აჩვენა, რომ ეს მაჩვენებლები გასაშუალოებულია და ეს სხვაობა, დღეის მდგომარეობით, ბიუჯეტის 15-20%-ია, რაც, რეალურად, მხოლოდ 1 სტუდენტის სწავლების საფასურის სხვაობაა. თუმცა, მან აღნიშნა, რომ საგრანტო გრავიტაციის მიუხედავად, უნივერსიტეტს, სტრატეგიული მისიიდან გამომდინარე, გააჩნია, რომ ამ ტიპის სასწავლო პროგრამისადმი, რომლებიც ინოვაციურ ცოდნასა და მის ტრანსფერს ახორციელებენ, უნივერსიტეტი უშვებს რაღაც პროგრამებში იმის ალბათობას, რომ რაღაც სხვაობა არსებობდეს. ამდენად, მისი თქმით, ყველაფერი ბალანსდება იმით, რომ რომც არ იყოს, უნივერსიტეტის მიდგომაა, რომ მისთვის ღირებულ პროგრამებს აძლევს საშუალებას, რომ ფინანსური ვალდებულება აიღოს, სანამ ხარჯთუკუკებაზე გავა. მისი თქმით, პროგრამა თვითკმარი ხდება და გარკვეული მოდიფიცირებების შემდეგ, მიღებას პოზიტიური მაჩვენებელი გამოუჩნდა და ეს დადებითი დინამიკაა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, სსიპ-ს უნდა ჰქონდეს გარკვეული სარეზერვო ფონდი, სადაც, გარკვეულ პროგრამაზე რისკის შემთხვევაში, იქნება მსგავსი ტიპის ხარჯი.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თქმით, ცალკე ფონდირება არ ხდება ცალკე ანგარიშზე აკუმულირება და ხდება წარსული წლების ანგარიში და მომავალი ხარჯის პროგნოზირება ხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შრომის ბაზრის/კვლევის საკითხით, რადგან მისი თქმით, ეს ვერსად იპოვა. მისივე შეფასებით, წარმოდგენილი არის სტანდარტული კითხვები და მექანიზმი, თუმცა შრომის ბაზრის კვლევა, როგორც ასეთი ვერ იპოვა.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ იკითხა, რომ როდესაც პროგრამა აკეთებს 2022 წლის ბიუჯეტირებას, ამოდიან თუ არა ისინი იმ მოცემულობიდან, რომ აღარ იქნება წამგებიანი, ამდენად, მან იკითხა თუ არის რაიმე ნორმატიული დოკუმენტი, რომ მსგავსი ტიპის პროგრამებს აცლიან ორს, სამს, ხუთს, თუმცა, უნივერსიტეტი ამბობს, რომ წამგებიანობის მიუხედავად, პროგრამამ მაინც უნდა იარსებოს.
საბჭოს წევრმა იკითხა, რამდენად ფარავს ქიმიურ პროცესებს ან წინარე ქიმიის ცოდნას ნანომასალების დამზადება და თუ მოიაზრება პროგრამაში მხოლოდ ფიზიკური პროცესები, მისი ხედვით, გარკვეული ქიმიური პროცესების ცოდნა და დანამატები მაინც საჭიროა მსგავსი ტიპის ტექნოლოგიების ცოდნა.
საბჭოს წევრმა იკითხა, ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურის შესახებ და დაინტერესდა ეს ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირითაა გამოწვეული

საბჭოს წევრმა იკითხა რამდენად ნახეს ექსპერტებმა სამაგისტრო ნაშრომები და რამდენად შეესაბამებოდა თემატიკა და კვლევის პროცესები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა ვერ ჩაითვლება დოტაციურად გამომდინარე ბიუჯეტის იმ სურათიდან.რაც შეეხება სწავლის საფასურის მიერ ხარჯების ვერ დაფარვა, ეს პროცესი უზრუნველყოფილია და იწყება უნივერსიტეტის სტრატეგიით. მისი თქმით, ინსტიტუციის საბიუჯეტო პროცესში ჩადებულულია ეს მოქმედებები და არსებობს ადმინისტრაციული დოკუმენტი საბიუჯეტო პროცესის თაობაზე, სადაც გაწერილია რომ უნოვერსიტეტისთვის ფასეული ნორმების და ხედვების საფუძველზე მისთვის მნიშვნელოვანი მიმართულების რეალიზაციით ხდება ბიუჯეტის ფორმირება და იქ იდება პრინციპი ბალანსირების მხრიდან მისი შეფასებით. ეს მოდელი გადის დადასტურებას. ნორმატიულ ბაზად შესაძლოა განიხილონ ბიუტის ფორმირების დოკუმენტი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერიან გობრონიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იყო 5 სამაგისტრო ნაშრომი, მათი თემატიკა და კვლევითი კომპონენტი სრულად შესაბამისია საფეხურთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა სტუდენტთა სიუხვით არ გამოირჩევა და კურსდამთავრებულების დასაქმება საკმაოდ კომპლექსური საკითხია და მხოლოდ ინდუსტრიაში ჩაბმით არ უნდა შემოიფარგლოს, რადგან ორმა კურსდამთავრებულმა სწავლება დასავლეთ ევროპაში გააგრძელა და ორივე გერმანიაში დარჩა და ამდენად, აკადემიურ ნაწილშიც არის მათი შემდგომი ზრდა. ასევე, მნიშვნელოვანია პარტნიორი საწარმოები და მისი თქმით, მოთხოვნა არის კომპიუტერულ მიმართულებაზე.
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ცნება საკმაოდ ფართოა და რამდენად, შესაძლებელია წარმოდგენილი დოკუმენტი მიღებულ იქნას, როგორც კვლევა.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დამსაქმებელთა კვლევა ხდება არა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისთანავე, არამედ მინიმუმ ერთი წლის შემდეგ, იმისათვის, რათა
დამსაქმებლების ანგარიში და ფოკუს ჯგუფები კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან, ასევე გვაქვს გარე შეფასება და მნიშვნელოანია, რომ ვნახულობთ, რა მდგომარეობა სხვა უნივერსიტეტებში.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ავთანდილ თავთხელიძემ აღნიშნა, რომ ისინი მუშაობენ ახალ გამტარუნარიან მატერიებს და ისინი პოლიმერებს არ აკეთებენ და იმ ნაწილში, სადაც, ქიმიაა საჭირო, მათი თქმით, მათ ჰყავთ შესაბამისი ქიმიკოსი. მისი თქმით, ევროკავშირის ერთ-ერთი გრანტის ფარგლებში, მათ გამოსცეს ნაშრომი, რაც, მითითებულია ლიტერატურაში. მისი თქმით, რამდენიმე ფუნდამენტური წიგნის გარშემო მიდის მუშაობა და დიდი არჩევანი არაა, რადგან ამ გზაზე დგანან.

სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ 17:55 სთ-ზე

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა იკითხა, 4.3 ქვესტანდარტში წარმოდგენილი რჩევა დამატებითი ხელშეკრულებების შესახებ და დაინტერესდა, როგორ წარმოუდგენიათ რჩევა ექსპერტებს და ასევე დაწესებულებას.
ვალერიან გობრონიძის თქმით, ინსტიტუციებთან ურთიერთობა დარეგულირებულია მემორანდუმის საფუძველზე,რაც არ ატარებს მავალდებულებელ ხასიათს აქვს წმინდა თანამშრომლობის ხასიათი.ექსპერტის მოსაზრებით კარგი იქნება თუ გრძელვადიანი თანამშრომლობის სახე ექნება აღნიშნულს
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მემორანდუმები და ხელშეკრულებები უცხო არაა უნივერსიტეტისთვის და დადებული ხელშეკრულებები მჭირდო კავშირს ითვალისწინებს დამსაქმებლებთან და ამდენად, მემორანდუმი სჯობს ხელშეკრულებას, კონტრაქტს, რაც, შეიძლება ყველა დამსაქმებლისთვის არ იყოს ბოლომდე მისაღები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 18:22

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბ ა შემდეგი რედაქტირებით:
- რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიწეროს სილაბუსებში საშინაო დავალებათა რუბრიკები სილაბუსებში: „მყარი ტანის ფიზიკა I, II”,„კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I“
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებში დაცული იქნას ციტირებული ლიტერატურის დამოწმების სავალდებულო სტილი
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ მითითებული ლიტერატურა: S.M. 35Sze and K. K. Ng, Physics of Semiconductor Devices, third edition (Wiley, New York, 2007) განთავსდეს ბიბლიოთეკაში ან სილაბუსში მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა
- პროგრამის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტს(დელტა) შორის ურთიერთობის ფორმა „მემორანდუმი“ შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით -„ხელშეკრულებით“.
- გასწორდეს პროგრამის ბიუჯეტში არსებული ხარვეზები

რჩევები

ა) სასურველია შრომის ბაზრის კვლევის სისტემატიზაცია და გაფართოება
ბ) გასწორდეს პროგრამის კომპეტენციების რუკაზე ,სასწავლო კურსის -„მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, სწავლის შედეგებთან და კომპეტენციებთან დაკავშირებული
გ) სილაბუსებში „ფოტონიკა“ , „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“, „არაწრფივი დინამიკა და ქაოსი“, „დაბალგანზომილებიანი სისტემების ფიზიკა“, „ნანოსტრუქტურების ტექნოლოგია I, II, III“, „ელექტრონული ინჟინერია: ანალოგური და ციფრული სქემები“, „მონაცემთა მოდელირება და კომპიუტერული დამუშავება“, „მყარი ტანის ფიზიკა I, II“ გამოყენებული ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან“
დ) სილაბუსში „გამოყენებითი კვანტური მექანიკა“ სხვა კომპონენტებთან ერთად შეფასდეს სტუდენტის სემინარული მუშაობა;
ე) გააქტიურდეს მუშაობა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით;
ვ) გააქტიურდეს სტუდენტებთან მუშაობა აკადემიური წერის პრინციპების უზრუნველსაყოფად;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერებების" საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 02 ივლისის N147 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0102, ქ. თბილისი, პ. სააკაძის N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი
- ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.
- დიანა მჭედლიშვილი, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომა დატოვა ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანმა18:30-ზე

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძემ .

სხდომის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა მოცემული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გაცემული რეკომენდაციები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ჩახიძემ, აღნიშნა, რომ, ორი წლის წინ პროგრამამ გაიარა რეაკრედიტაცია და ახალი კლასიფიკატორი და ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩო შემოვიდა. მისი თქმით, მაშინ გაუგებრობა იყო, ვინაიდან ბევრჯერ შეცვალეს მისანიჭებელი კვალიფიკაცია და საბოლოოდ იმ სახით ჩამოყალიბდა, რა სახითაც, ახლა იყო წარმოდგენილი. მანანა ხაჩიძემ ასევე აღნიშნა, რომ კვალიფიკაცია არ შეიცვალა, რადგან მაშინ ახალ პროგრამად იქნებოდა ჩათვლილი და ნაცვლად, 7-ისა, პროგრამა მიიღებდა ოთხწლიან აკრედიტაციას. მაშინდელი გადაწყვეტილება გულისხმობდა გარკვეული ტიპის ცვლილებებს, როგორც სავალდებულო რეკომენდაციებს. რაც შეეხება მოტივაციას, მისი თქმით, ამის მიზეზი იყო კვალიციკაციის შეცვლის მიმართულებით, პროგრამის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა 1-ლი და მე-2 სტანდარტების უმეტესი ქვესტანდარტი და მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებში ნაწილობრივი შესაბამისობაა, რაც, მათი თქმით, არგუმენტირებულადაა დასაბუთებული. მისი თქმით, კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩოს მიხედვით, სწავლის და საქმიანობის სფეროს ფართო ცოდნა მნიშვნელოვანი საკითხია და მათი თქმით, ეს ყველაფერი პროგრამის მიზნებში უნდა იყოს ასახული. მანვე აღნიშნა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული მეცნიერებებს შორის ერთნაირი მიზნები ვერ იქნება და ამიტომ, 1.2 ქვესტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისია. მისი შეფასებით, ინფორმაციული ტექნოლოგიებთან მსგავსება, აშკარაა, რადგან აქცენტირება სწორედ ინფორმაციულ ტექნოლოგიებზეა და ნაკლებად

კომპიუტერულ მეცნიერებებზე და ბევრი ტერმინი სწორედ ამ მიმართულებით არ არის მიმართული. მისი თქმით, ქვესტანდარტი 2.2-ში, დარგობრივი, ძირითადი და არჩევითი საგნების უმრავლესობა საკმაოდ ტევადია, თუმცა, თანაფარდობა ძირითად და არჩევით შორის არის უთანაბრო, რადგან 62 კრედიტია სავალდებულო, ხოლო 210 არჩევითი საგნიდან - 78 კრედიტი უნდა აირჩიოს სტუდენტმა. ამდენად, მისი თქმით, როგორ გავა ერთსა და იმავე შედეგზე სტუდენტი, თუ მათ ამდენი განსხვავებული სასწავლო კურსი გაიარეს. მანანა ხაჩიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილი გახდეს სავალდებულო. მისი თქმით, ქვესტანდარტ 2.3-ში, საკონტაქტო საათების რაოდენობა გარკვეულწილად პრობლემურია, რადგან 13 კვირაზე გაწერილი სილაბუსში ჯამში 25-26 საათია სემესტრულად საკონტაქტო საათი. შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ჩამოთვალა გაცემული რეკომენდაციები:

- საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ მიზნები ჩამოყალიბდეს ცხადი სახით „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან“ მიმართებაში;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვროს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ახალი რედაქციის შესაბამისად, რაც საშუალებას მისცემს მოხდეს პროგრამის დასახელების კვალიფიკაციის ცხადი შესატყვისობა ;
- სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ შესაბამისად;
- უნდა მოხდეს „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაზისო ცოდნის არეების შესაბამისი დისციპლინების დამატება და ხვედრითი წილის გაზრდა, მათ შორის დარგობრივი არჩევითი საასწავლო კურსების ხვედრითი წილის შემცირებით და ზოგიერთი მათგანის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში გადატანით;
- შემუშავდეს „პროგრამის სწავლის შედეგების რუკის“ განახლებული ვერსია, პროგრამის შეცვლილი მიზნების და შედეგების გათვალისწინებით;
- პროგრამის სახელის შეცვლით განსახორციელების მიზნების და შედეგების ცვლილებების შესაბამისად გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები;
- გაიზარდოს დარგობრივი საგნებისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობა

მისი თქმით, წარმოდგენილი პროგრამა, ფაქტობრივად იგივეა, რაც, 2019 წელს და ამდენად, მათ ფაქტობრივად, გაიმეორეს რეკომენდაციები და ამ მხრივ, დიდი არაფერი შეცვლილა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის საკითხი დადგა სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე.

სხდომისთავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია:

უნივერსიტეტის წარმომადგენლის, შოთა ნიჟარაძის, თქმით, პროგრამის მონიტორინგის მიზეზი სახელწოდების შეცვლის გამო მოხდა. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან მანამდე პროგრამას ინფორმატიკა ერქვა და მიმდინარეობდა ახალ ჩარჩოზე საუბარი, მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია, რადგან ეს იქნებოდა რეაკრედიტაცია და კვალიფიკაცია იგივე რჩება 2014 წლიდან - ესაა ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში. ამდენად, მისი თქმით, 2019 წელს რეაკრედიტაციის დროს, ვინაიდან 2022 წელს არის განსაზღვრული, რომ უნდა მოხდეს ახალ ჩარჩოზე გადასვლა, გამოდის, რომ რეკომენდაციები, რაც, ექსპერტმა ახსენა, იგივეა, თუმცა, მისი ხედვით, რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭომ, ხოლო ნაწილი - უნივერსიტეტმა. მისი თქმით, პროგრამას სამი მიზანია გათვალისწინებული და მხოლოდ ორი სიტყვა შეიცვალა და მათი თქმით, უნივერსიტეტმა წარადგინა ანგარიში და ამდენად, დიდი ცვლილებები არ განხორციელებულა და ეს რეკომენდაცია შესრულებულია და აკრედიტაციის საბჭომ ეს დოკუმენტი ცნობად მიიღო. შოთა ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ ზოგიერთი საგანი 36 საათიანია, ზოგი 45 საათიანი და ა.შ. ამდენად, მისი თქმით, ზოგიერთი საგანი ორადაა გაყოფილი და მათი არგუმენტაცია ასახულია ანგარიში და ეს ცნობადაა მიღებული

ცენტრის მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე ტექნიკური შეცდომა გასწორდა და 2020 წელს დაწესებულებამ წარადგინა ანგარიში და ცნობად იქნა მიღებული. მისი თქმით, სახელის ცვლილების გამო, არ უნდა მოხდეს იმის რეკომენდირება, რაც, 2022 წელს უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ადრე კომპიუტერული მეცნიერებები ინფორმატიკის ქვედარგად იყო წარმოდგენილი და ამდენად, მისი თქმით, ახალ ჩარჩოში განმარტებაც კი ჩაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიები არის ვიწრო დეტალური სფერ და პროგრამის 65% ეხება კომპიუტერულ მეცნიერებებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები 100 კრედიტზე მეტია, ხოლო არჩევითი - 78, ამდენად, გაუგებარია ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება, ამ მიმართულებით. მისი თქმით, 104 კრედიტია სავალდებულო და არა პროგრამების ჭრილში, გამოჩნდა ბევრი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, იკითხა, რამდენად საჭიროებს პროგრამის სახელების შეცვლა მიზნებისა და სწავლის შედეგების შეცვლას.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, შოთა ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ მათი თქმით, არ საჭიროებს, მოცემული პროგრამიდან გამომდინარე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნუგზარ სხირტლაძემ აღნიშნა, რომ მოცემული დარგი შედარებით ახალი და განვითარებადია და ფრანგული მიდგომა იყო, რომ ყველაფერი დარქმეოდა ინფორმატიკა, მათ შორის რიცხვით მეთოდებსაც და კომპიუტერულ მეცნიერებებსაც, თუმცა, შემდგომში, ეს დაიხვეწა და განვითარდა. ამდენად, მისი თქმით, არაა საჭირო, შეცვლა, რადგან წარმოდგენილი შინაარსი სრულად შეესაბამება კვალიფიკაციას.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, იკითხა, რატომ არ მიიღეს ექსპერტებმა მხედველობაში, რომ ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობა 2022 წელს უწევს და არა მანამდე. მისი თქმით, 7 სწავლის შედეგიდან, პირველი ექვსი შეესაბამება დარგს და უნივერსიტეტს გეზი ამ მხრივ აქვს აღებული.

საბჭოს წევრი ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა ეთანხმებიან თუ არა ახალი პროგრამის წარმოდგენის შემთხვევაში, მოვიდეს მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ, აღნიშნა, რომ ბუნდოვანია, კონკრეტულად ამ პროგრამისთვის, ამჟამად კვალიფიკაციასთან შესაბამისია თუ არა. ის დაინტერესდა შეუსაბამობაა სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციას შორის თუ სათაურსა და კვალიფიკაციას შორის.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ, იკითხა, რამდენად შესაძლებელი იყო 2022 წლამდე დაცდა და რამ გამოიწვია სიჩქარე და სახელების გამოცვლა, ამ მიმართულებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა ჩახიძემ აღნიშნა, რომ აქცენტირება კეთდება ტექნოლოგიებზე და არა მეცნიერებაზე და ამდენად, ვერ ხვდება, თუ როგორ არის კომპიუტერული მეცნიერებების საკითხი წარმოდგენილი, რადგან მისი აზრით, პროგრამა იდენტურია 2019 წელს წარმოდგენილის, მისი თქმით, შემდეგ დაწესებულებამ თქვა, რომ პროგრამა იგივეა, ამდენად, პროგრამის სახელწოდება და კვალიციკაცია არ შეესაბამება ერთმანეთს. მისი თქმით, პროგრამის სათაური უნდა შეესაბამებოდეს მის მიზნებს და სწავლის შედეგებს. მან აღნიშნა, რომ სათაური - კომპიუტერული მეცნიერება, წარმოდგენილი პროგრამა მას არ შეესაბამება.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, შოთა ნიჟარაძემ, აღნიშნა, რომ ძველ ჩარჩოში მიდგომები სრულიად განსხვავებულია და მათ მიერ წარმოდგენილი სახელი სწორედ ამას შეესაბამება და ამდენად, მათ არ ჰქონდათ ვალდებულება კომპიუტერული მეცნიერებები, როგორც დასახელება შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას თანამედროვე და მოქმედი ჩარჩოთი. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს გარკვეულწილად, მართლაც მარკეტინგული გათვლაა და ნებისმიერი ადამიანი ვინც კითხულობს, ინფორმაციული ტექნოლოგიები ინფორმაციული

ქსელებია და ამდენად, მისი თქმით, ისინი ვფიქრობთ, რომ უფრო რელევანტურობისთვის, საჭიროა, რომ პროფესიული და მარკეტინგული თვალსაზრისით, სჯობს ერქვას კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამა. მისი თქმით, ინგლისურენოვანი პროგრამა უკვე წარდგენილია აკრედიტაციაზე და ამდენად, სახელი ახალი ჩარჩოს განმარტებიდან გამომდინარე, თავი დაიზღვიეს და მისი თქმით, ის ექსპერტებს 2022 წელს ანუ ვადის გასვლის შემდეგ დაეთანხმება. მისი თქმით, სახელს ისინი მაინც შეცვლიდნენ, ვადების პრობლემა რომც არ ყოფილიყო.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, მაქსიმ იავიჩმა აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაში არის კომპიუტერული მეცნიერებების საგნები, მათ შორის ალგორითმები და პარადიგმები, რომლებიც არაა კომპიუტერული ტექნოლოგიები, არამედ კომპიუტერული მეცნიერებები. მისი თქმით, აბიტურიენტები ეუბნებოდნენ, რომ არ ჰგონიათ, რომ იქ ისწავლება პროგრამირება და სხვა. მან ასევე აღნიშნა, რომ ინგლისუერნოვან პროგრამაში ცვლილებები უკვე განხორციელდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:55
დასრულების დრო: 19:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი იმ პირობით, რომ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას სახელწოდების ცვლილებაზე და საგანმანათლევლო პროგრამას განესაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტატაციის საბჭოს 2019 წლის 02 ივლისის №147 გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული სახელწოდება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და საგანმანათლევლო პროგრამას განესაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტატაციის საბჭოს 2019 წლის 02 ივლისის №147 გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული სახელწოდება.

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემები ავიაციაში" ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემები ავიაციაში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 7 სეტქემბრის N791401 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინფორმატიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0103, თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი16
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი
- ნიკა თიკანაშვილი, საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა:

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მიხეილ რუხაიამ აღნიშნა, რომ მის მიერ შესწავლილი რეკომენდაციები შეეხებოდა მე-2 სტანდარტს და ყველა წარმოდგენილი რეკომენდაცია სრულადაა შესრულებული, რაც, მისი თქმით, დასკვნაში ასახულია შესაბამისი მტკიცებულებებითა და არგუმენტებით.

სხდომისთავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მოსაზრებები:

დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ არ აქვთ კომენტარები.

სხდომისთავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:

საბჭოს წევრებს კომენტარები, მოსაზრებები და კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:35

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყარე დააყენა შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღები საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11] პუნქტის საფუძველზე შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემები ავიაციაში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა
2021 წლის 13 მაისის2 0:45საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ